საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კილო

კილო, 1. სიმღერა-გალობის დიალექტური კუთვნილება (იმერული კილო, ქართლ-კახური კილო და სხვ.); 2. ინტონაციური მიმოქცევა, მელოდია, ჰანგი; 3. ბგერათა ურთიერთკავშირის სისტემა მუსიკაში. კ-ს საფეხურების თანამიმდევრობა ქმნის გამას, რ-ის ყოველ საფეხურს აქვს განსაკუთრებული ფუნქცია – არამდგრადი (მერყევი) საფეხურები მდგრადი (მყარი) საფეხურებისაკენ მიიზიდება. კ-ს საფუძველია ტონიკა, რ-იც განსაზღვრავს კ-ს ტონალობას. სხვადასხვა ხალხის მუსიკის კ-ს, ზოგად თავისებურებებთან ერთად, ეროვნ. მახასიათებლებიც გააჩნია. ბგერათრიგების დამთხვევა ან მსგავსება არ ნიშნავს კ-ების იგივეობას, რადგან კ. ინტონირების ცოცხალ პროცესში ყალიბდება. ქართ. ხალხ. მუსიკის კილოური სისტემა დიატონურია და მონოტოცენტრულობის (ერთი ტონიკური ცენტრის) პრინციპს ეფუძნება.

ლიტ.: ა ს ლ ა ნ ი შ ვ ი ლ ი შ., დასავლეთ საქართველოს ხალხური სიმღერის კილოები, წგ: ნარკვევები ქართული ხალხური სიმღერების შესახებ, I, თბ., 1954; კ ა რ ბ ე ლ ა შ ვ ი ლ ი პ., ძველი ქართული კილოები და საეკლესიო გალობა, წგ.: ქართული საერო და სასულიერო კილოები, თბ., 2011; რ ო ს ე ბ ა შ ვ ი ლ ი კ., ქართული ხალხური სიმღერის კილოს განსაზღვრის საკითხისათვის; თბილისის სახელმწ. კონსერვატორიის სამეცნიერო შრომათა კრებული, თბ., 1988; ჭ ო ხ ო ნ ე ლ ი ძ ე ე., ქართული ხალხური სიმღერის კილოური საფუძვლების შესახებ, ქართული ხალხური მუსიკის კილო, მელოდიკა და რიტმი, იქვე, თბ., 1983.